



BUSINESS CONSULTING

შპს ბარაქა
ფინანსური ანგარიშგება,დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა და მმართველობითი
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	4
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	11
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
მმართველობის ანგარიშგება	22

შპს ბარაქა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ბარაქა („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (SME-ების IFRS) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

A handwritten signature in blue ink is written over a horizontal line. To the right of the signature is a blue circular stamp. The stamp contains the word "BARAQA" in the center, "GEORGIA" at the bottom, and "205218236" and "BARAQA LTD" around the perimeter.

დირექტორი
15 სექტემბერი 2024 წ.
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბარაქას“ (ს/კ 205218236) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესახებ

შპს „ბარაქას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

აუდიტის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბარაქას“ (ს/კ 205218236) („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

აუდიტის მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ბარაქას ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგები მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის

საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველთა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის ამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულსკეპტიციზმს. ამასთან ერთად: ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი ცალკეული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა ცალკეული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიშგება და ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით დავასკვნით:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგად მიღებულ ჩვენს ცოდნას; და;
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

კონსტანტინე ჭანტურიძე
შპს „ბიზნეს კონსალტინგის“ სახელით

2025 წლის 10 მარტი

თბილისი, საქართველო



შპს ბარაქა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის (ერთეულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი	2021 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	4	1 239 787	384 150	94 519
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2 479 874	1 930 690	834 822
მარაგი	6	6 485 102	11 526 514	4 810 806
სასესხო მოთხოვნები	5	1 959 880	745 874	103 079
მისაღები პროცენტები	5	280 764	78 383	5 163
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	692 712	253 784	6 243
სხვა მიმდინარე აქტივები	5	658 937	474 180	239 992
სულ მიმდინარე აქტივები		13 797 056	15 393 576	6 094 624
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2 750 941	2 189 044	1 949 013
არამატერიალური აქტივები	7	31 539	36 260	37 620
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 782 480	2 225 303	1 986 633
სულ აქტივები:		16 579 536	17 618 879	8 081 257
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	10 764 907	13 019 633	5 881 709
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	372 471	905 127	171 003
გადასახდელი პროცენტები	8	77 042	29 454	17 835
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	8	2 496	3 111	20
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	250 439	497 541	191 220
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11 467 356	14 454 866	6 261 787
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები		4 917 879	1 222 674	1 000 000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4 917 879	1 222 674	1 000 000
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		194 302	1 941 339	819 471
სულ საკუთარი კაპიტალი		194 302	1 941 339	819 471
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16 579 536	17 618 879	8 081 258



შპს ბარაქა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის (ერთეულ ლარში)

	2023 30 სექტემბერი შენიშვნა	2022 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები		
- საქონლის გაყიდვიდან	17 627 771	20 616 861
- სხვა		
საერთო მოგება	<u>17 627 771</u>	<u>20 616 861</u>
სასაქონლო მარაგების ნედლეულის ხარჯი	(13 450 460)	(14 789 805)
საიჯარო ჯირის ხარჯი	(550 378)	(336 310)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(251 828)	(183 158)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	(208 050)	(323 164)
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანის შენახვის ხარჯი	(197 280)	(371 021)
საწვავის ხარჯი	(254 336)	(233 911)
შორიმის ანაზღაურების და სოციალური ხარჯი	(3 161 075)	(1 764 625)
საწყობისა და მაღაზიის ხარჯი	(9 653)	(126 220)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(116 789)	(92 644)
კომუნალური ხარჯი	(141 269)	(73 354)
დაზვევის ხარჯი	(156 160)	(65 961)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9 (459 707)	(719 304)
სულ საოპერაციო ხარჯი	<u>(18 956 983)</u>	<u>(19 079 479)</u>
სულ საოპერაციო მოგება	<u>(1 329 212)</u>	<u>1 537 382</u>
საპროცენტო შემოსავლები	10 201 066	74 734
საპროცენტო ხარჯები	10 (512 196)	(292 425)
შემოსავალი/ზარალი სავალუტო გადაფასებიდან	10 101 846	46 944
შემოსავალი/ზარალი კონვერტაციიდან	10 (12 760)	(84 958)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	10 (47 216)	(32 804)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	<u>(1 598 472)</u>	<u>1 248 874</u>
განგრძობითი ოპერაციებიდან		
გაცემული დივიდენდი	(89 480)	-
ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში	(59 085)	(127 006)
მოგება/ზარალი	<u>(1 747 037)</u>	<u>1 121 868</u>



შპს ბარაქა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(1 747 037)	1 121 868
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	251 828	183 158
საპროცენტო ხარჯი	311 130	217 691
სავალუტო გადაფასება	(89 086)	38 013
ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში	(110 406)	386 436
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(1 383 572)	1 947 166
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	5 041 412	(6 715 708)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(1 190 492)	(2 059 426)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2 207 138)	7 149 543
საგადასახადო ვალდებულება	(184 757)	(234 188)
სხვა აქტივები/ვალდებულებები	(247 716)	306 322
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(172 264)	393 710
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(828 090)	(418 080)
გაცემული/მიღებული დივიდენდი	(89 480)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(917 570)	(418 080)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3 159 476	956 798
გაცემული სესხები	(1 214 006)	(642 795)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1 945 471	314 003
წმინდა ზრდა (კლება)	855 637	289 633
ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	384 150	94 517
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 239 787	384 150



შპს ბარაქა

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის (ერთეულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	819 471	819 471
მიმდინარე პერიოდის მოგება		1 248 874	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდი			
სხვა ცვლილებები		(127 006)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 941 339	1 941 339
მიმდინარე პერიოდის მოგება		(1 598 472)	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდი		(89 480)	
სხვა ცვლილებები		(59 085)	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	194 302	194 302



შპს ბარაქა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბარაქა“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს-ის) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2007 წლის 18 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო 205218236.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილებს ფლობს ორი მესაკუთრე, კერძოდ 50% იან წილს ფლობს პარტნიორი, საქართველოს მოქალაქე ნათია ხოჭოლავა პ/ნ 0100901733, ხოლო 50% იან წილს ფლობს პარტნიორი, საქართველოს მოქალაქე ზოია საბანაძე პ/ნ 10001042444.

კომპანიის დირექტორი ნიკა პელანგია პ/ნ 62001035087

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, პეტრე ქავთარაძის III შესახვევი, N 4, ბინა 43

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

მარაგები. მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად. ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცვლელი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექნომომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა. აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

მანქანა დანადგარები - 5 -10 წელი;

ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი ;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 10 წელი;

სატრანსპორტო საშუალება - 10 - 15 წელი



აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალების ამა თუ იმ ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ხელმძღვანელობის განსჯის საგანია და ეყრდნობა ანალოგიური აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოცემული აქტივის მოსალოდნელი გამოყენების წესს, მისი ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვეთის განაკვეთების კორექტირება

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გასაყიდად ან საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნებით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება ასევე მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამიზნულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიყიდოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი“ არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას და იმავე მდგომარეობის მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილა მყოფი ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს, რომლებიც დადკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების უახლესი პერიოდის ფასებს ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე, რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით;

კომპანიის საინვესტიციო ქონება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშგების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშნები მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელიც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენების ღირებულებასა და დაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებად, რომელთათვისაც არსებობს განცალკევებით იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). გაუფასურებული არაფულადი აქტივები, გუდვილის გარდა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განიზილება გაუფასურების შესაძლო აღდგენის დადგენის მიზნით.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ვალდებულებებისა და დანახარჯებისათვის შექმნილი ანარიცხი არაფინანსური ვალდებულებაა, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია. მათი დარიცხვა ხდება, როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქტიული ვალდებულება. მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად აუცილებელი იქნება კომპანიიდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთვლება ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ შედეგი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტორებით დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აუცილებლობის შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს სამედიცინო საქმიანობას, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.



მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგების გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდების განაწილება აღიარდება, როგორც იმ პერიოდის ვალდებულება, რომელშიც დამფუძნებლები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.



ხარჯის აღიარება. მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.



შპს ბარაქა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

4. ფულადი სახსრები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4 637	4 180
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	776 011	112 275
ევროში რეზიდენტ ბანკში	2	1 891
ჩინური იენი რეზიდენტ ბანკში	188 463	-
აშშ დოლარში რეზიდენტ ბანკში	270 674	265 804
	1 239 787	384 150

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
	2 479	1 773
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	874	909
	8	
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	800	921
	1 434	535
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	458	904
მოთხოვნები თანამშრომლებზე გაცემული	77	27
სესხიდან	900	800
მოთხოვნები ორგანიზაციებზე გაცემული	447	182
სესხიდან	522	170
		156
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	781
	280	78
მისაღები პროცენტები	764	383
	683	252
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	913	863
	658	474
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	937	180
	6 072 167	3 482 912

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
	5 867	10 991
საქონელი	669	462
	554	467
ნედლეული და მასალები	629	144
მცირეფასიანი და სხვა წვრილმანი	48	54
მარაგები	813	516
	6 471 111	11 513 122



შპს ბარაქა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ერთეულ ლარში)

7.

გრძელვადიან

ი აქტივები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება										
2021 წლის 31 დეკემბერი	701 572	471 403	52 903	55 491	199 582	191 291	43 030	313 915	28 257	2 057 444
შემოსვლა	415	-	52 744	93 980	135 194	213 104	2 800	-	3 231	501 468
გასვლა	-	-	-	-	-	(38 271)	-	-	-	(38 271)
გადატანა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	701 987	471 403	105 647	149 471	334 776	366 124	45 830	313 915	31 488	2 520 641
შემოსვლა	188 728	199 017	11 758	82 384	77 317	94 694	-	2 651	171 540	828 090
გასვლა	-	-	-	-	-	(87 464)	-	-	(331)	(87 795)
გადატანა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	890 715	670 420	117 406	231 855	412 093	373 353	45 830	316 566	202 697	3 260 936
დაგროვილი ცვეთა										
2021 წლის 31 დეკემბერი	-	16 995	1 826	7 519	18 600	11 085	5 410	8 630	244	70 309
ცვეთის დარიცხვა	-	23 554	14 187	25 328	58 307	40 375	4 161	15 836	1 412	183 158
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	(3 748)	-	-	-	(3 748)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	40 549	16 012	32 847	76 907	47 712	9 570	24 465	1 656	249 719
ცვეთის დარიცხვა	-	41 750	18 235	39 419	80 581	42 053	4 721	15 969	7 284	250 014
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	(21 275)	-	-	-	(21 275)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	82 300	34 247	72 266	157 488	68 489	14 291	40 435	8 940	478 457
წმ საბალანსო ღირებულება										
2021 წლის 31 დეკემბერი	701 572	454 407	51 078	47 972	180 982	180 206	37 620	305 286	28 012	1 987 135
2022 წლის 31 დეკემბერი	701 987	430 853	89 635	116 624	257 869	318 412	36 260	289 450	29 832	2 270 922
2023 წლის 31 დეკემბერი	890 715	588 120	83 158	159 589	254 606	304 864	31 539	276 131	193 757	2 782 480

შპს ბარაქა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ერთეულ ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	10 764 907	13 019 633
გადასახდელი ხელფასები	2 496	3 111
მოკლევადიანი სესხები	-	749 216
სესხები პარტნიორებისგან	372 471	155 911
გადასახდელი პროცენტები	77 042	29 454
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	250 439	497 541
	11 467 356	14 454 866

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2023	31.12.2022
სხვა საოპერაციო ხარჯები	301	164 493
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 234	24 549
ჯარიმები	601	7 668
მიწოდების სხვა ხარჯები	1 237	-
საოფისე ინვენტარი	1 610	217
საკანცელარიო ხარჯი	11 463	2 923
იურიდიული მომსახურება	34 639	37 435
სამივლინებო ხარჯები	86 473	102 119
რემონტი	32 451	39 895
კომპიუტერის ხარჯები	56 358	35 837
საკონსულტაციო ხარჯები	40 860	118 145
სხვა საგადასახდო ხარჯი	20 591	17 872
სხვა საერთო ხარჯი	136 865	129 578
ტრენინგის ხარჯი		4 266
სამეურნეო ხარჯები	35 023	34 307
	459 707	719 304

10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)

	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო შემოსავლები	201 066	74 734
საპროცენტო ხარჯები	(512 196)	(292 425)
შემოსავალი/ზარალი სავალუტო გადაფასებიდან	101 846	46 944
შემოსავალი/ზარალი კონვერტაციიდან	(12 760)	(84 958)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	(47 216)	(32 804)
	(269 260)	(288 508)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის ხელმძღვანელობის მიერ.





ბარაქა
მეცნიერება უხვი მოსავლისთვის

შპს ბარაქა

მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს ბარაქა არის აგრობიზნესში მოღვაწე პროფესიონალთა გუნდი, რომლის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით. ბრენდი საქართველოს რეგიონებში მომსახურე ცენტრებითა და მაღაზიათა ქსელით არის წარმოდგენილი და ფერმერებს უზმოსავლიანობასა და ბიზნესის განვითარებაში ეხმარება.

ბარაქას გუნდი მუდამ ახლის აღმოჩენას/დანერგვას ცდილობს აგრობიზნესში. ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ნებისმიერ ფერმერს სთავაზობს პრემიუმ ხარისხის პროდუქციას, მომსახურებას და ამავდროულად არის მათი სანდო და მზრუნველი პარტნიორი.

კომპანია მომხარებელს სთავაზობს:

- კონსულტაციებს აგრო ექსპერტებთან;
- ექსპერიმენტებს - საკუთარ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობებში;
- პროდუქციის რეალიზაციას - კერძოდ პესტიციდები, სასუქები, სათესლე მასალები, საფერმო აღჭურვილობა;
- სწავლებას- საერთაშორისო მასშტაბის სემინარები, მასტერკლასები და სასწავლო პროგრამები;
- აგროსერვისებს- ნიადაგის და ფოთლის ანალიზი, სარწყავი სისტემების პროექტირება, აგრონომის მომსახურება;

კომპანია ბარაქა ეხმარება აგრობიზნესის სფეროში არსებულ ბიზნეს ნიადაგის სანდო ანალიზის ჩატარებასა და საირიგაციო სისტემის პროექტირებაში.

გაცემს ფერმერის კულტურაზე მორგებულ კვებით რეკომენდაციებს, ნიადაგისა და მცენარის ერთობლივი მახასიათებლების გათვალისწინებით. ნიადაგის ანალიზი საჭიროა რადგან ნებისმიერ მზარდ ორგანიზმს ესაჭიროება კვება ზრდისა და განვითარებისთვის. მცენარის შემთხვევაში საკვებ არეს ნიადაგი წარმოადგენს. რაც უფრო ნაყოფიერია ნიადაგი და სავსეა მცენარისთვის საჭირო მიკრო და მაკროელემენტებით, მით უფრო ძლიერია კულტურა, რომელსაც ის კვებავს. სწორედ ამ ნაყოფიერების დონის დასადგენად ყველაზე ეფექტური მეთოდია ნიადაგის ანალიზის ჩატარება, რადგან ეს პროცესი ფერმერს, რომ დროულად

აღმოაჩინოს ნებისმიერი სახის პრობლემა და მისი არსებობის შემთხვევაში, სწრაფად გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

კომპანიას სურს ფუნქციონალური ბრენდიდან ნოვატურ ბრენად იქცეს და გახდეს ბრენდი რომელიც, თავად ადგენს ტენდენციებს ქართულ ბაზარზე.

კომპანია ბარაქას მისიაა სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებით იზრუნოს მოქმედი და დამწყები ფერმერების უხვმოსავლიანობაზე და ხელი შეუწყოს მათი ბიზნესების გაძლიერებას.



კომპანიას აქვს მთელი საქართველოს მასშტაბით ფერმერებისთვის აგროსერვისის ცენტრები:

- ქუთაისი წყალტუბოს რაიონი სოფელი გეგუთი
- საგარეჯო კახეთის გზატკეცილი 20
- წნორი სიღნაღის რაიონი სოფ. საქობო
- გორი ცხინვალის გზატკეცილი 1
- ზუგდიდი სოფელი ცაიში
- მარნეული სოფელი წერეთელი
- ლაგოდეხი სოფელი აფენი
- გურჯაანი გურამიშვილის 15
- ყვარელი ბურსას ხიდის მიმდებარე ტერიტორია

საქართველოს ბაზარზე ჩვენს მიერ იმპორტირებული საქონელი საკმაოდ მოთხოვნილია, რადგანაც შემოგვაქვს უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, ფერმერებიც დაინტერესებულნი არიან მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღებისა და მოსავლიანობის გაზრდაში, რომლის მიღება შეიძლება მხოლოდ ხარისხიანი სათესლე მასალების, პესტიციდების, ჰერბიციდების, სასუქებისა და სარწყავი სისტემების გამოყენებით.

ქვეყანაში ლარის კურსის არასტაბილურობის გამო, კომპანიის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება საქონელი გაიყიდოს როგორც ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

კომპანია თავის თანამშრომლებს ყველაზე დიდ აქტივად მიიჩნევს. პერსონალის მართვის სისტემა აგებულია სამართლიანობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმძღვანელობასთან ღია დიალოგის პრინციპებზე. ჩვენი საკადრო პოლიტიკა მოიცავს ნიჭიერი და საქმის კეთებისათვის მოტივირებული თანამშრომლების მოძიებასა და შენარჩუნებას, მათ სწავლებას ყოველდღიური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით. ჩვენ ვახორციელებთ პერიოდულ შეხვედრა-სემინარებს, ასწავლის და შემდეგ უზრუნველყოფს უკუკავშირს თანამშრომლების მხრიდან, მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით.

[illegible]

კომპანიის ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა სახის კონტროლის მექანიზმებს. მარაგეგმვის კონტროლის მიზნით კომპანიაში ხორციელდება ყოველთვიური აღწერები, როგორც მაღაზიებში ასევე საწყობებში. მაღაზიები და საწყობები აღჭურვილია ვიდეო კონტროლის სისტემით, რიომლის საშუალებითაც ხორციელდება ვიდეო მონიტორინგი.

საწვავის ხარჯვის ეკონომიურობისა და ეფექტური გამოყენებისათვის ავტომობილები აღჭურვილია ჯიპიესის სისტემებით, რომლის საშუალებითაც ხდება საწვავის ხარჯის მიზნობრიობის კონტროლი.

კომპანიაში დანერგია სიარემ სისტემა, რომლითაც განკუთვნილია მაღაზიების მენეჯერებისათვის, გაყიდვების მენეჯერებისა და აგრონომებისთვის.

კომპანიაში დანერგია სხვადასხვა სახის გაყიდვების მექანიზმები, როგორიცაა ფასდაკლებები, სატელეფონო გაყიდვები, გაყიდვები საიტით მეშვეობით, შიდა გაყიდვების მენეჯერების საშუალებით გაყიდვები, აგრონომების ფერმერებთან ვიზიტები.

დებიტორული დავალიანების ამოღების მიზნით კომპანიას ჰყავს თანამშრომელი რომელიც ახორციელებს დებიტორული დავალიანების კონტროლს და ურთიერთობს პრობლემურ დებიტორებთან, თანხების ამოღების მიზნით.

შპს ბარაქას მმართველობითი ანგარიში გამოიცა 2024 წლის 15 სექტემბერს

ნიკა პელანგია

დირექტორი

